



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების
მონიტორინგი
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 16-29 ივლისი, 2012 წელი

პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012
პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი

მონიტორინგის მეორე ეტაპის ძირითადი მიგნებებია:

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო ;
- რეგიონალურ ტელეკომპანიათა უმეტესობა დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. გაშუქება თითქმის ყოველთვის პოზიტიურია;
- ტელეკომპანიათა უმეტესობაში იგრძნობა ლოიალური დამოკიდებულება ზოგადად ხელისუფლების მიმართ;
- ტელეკომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი აშუქებს ზოგადად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 16-29 ივლისის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

ანალიზი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), მარნეული ტვ (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც პირველ (2-15 ივლისი), ასევე მეორე საანგარიშო პერიოდში (16-29 ივლისი) ვერ მოხერხდა ოცივე ტელემაუწყებლის სრულყოფილი მონიტორინგი. ტელეკომპანიები "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი) და "ზარი" (ქ. სამტრედია) არხზე მიმდინარე რეორგანიზაციის გამო საინფორმაციო გადაცემები მომზადებას აგვისტოში

განაახლებენ. საკუთარი საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არა აქვთ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

16-29 ივლისის პერიოდში ისევ არასრული დატვირთვით მუშაობდა და კვირაში მხოლოდ ერთ საინფორმაციო გადაცემას ამზადებდა რამდენიმე ტელეკომპანია. კერძოდ, "მეგა ტვ" (ქ. ხონი), ტელეკომპანია "ბორჯომი" და ტელეკომპანია "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი).

19 ივლისის სტიქიის შედეგად პრობლემები შეექმნათ კახეთის რეგიონში მომუშავე ტელეკომპანია "გურჯაანს" და "თანამგზავრს" (თელავი). სტიქიის შედეგად დაზიანდა ელექტროენერჯის გადამცემი ხაზები და რეგიონს რამდენიმე დღის მანძილზე დენი არ მიეწოდებოდა. ამის გამო "გურჯაანი" და "თანამგზავრი" ვეღარ მაუწყებლობდნენ. შესაბამისად არც საინფორმაციო გადაცემები მომზადებულა. ტელეკომპანია "თანამგზავრი" საინფორმაციო გადაცემების მომზადებას 1 აგვისტოდან განაახლებს. უფრო რთული მდგომარეობაა ტელეკომპანია "გურჯაანში". მათი აპარატურა ძალიან დაზიანდა, ისინი ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მაუწყებლობას და სავარაუდოდ 2 კვირა კიდევ დასჭირდება დაზიანების აღმოფხვრას. თუმცა ტელეკომპანიაში უჭირთ ზუსტი თარიღის დასახელება, როდის შეძლებენ მაუწყებლობის განახლებას. ტელეკომპანია "ლტვ" (ლაგოდეხი) მხოლოდ ცალკეულ სიუჟეტებს ამზადებდა.

20-25 ივლისის მანძილზე გადამცემის დაზიანების გამო არ მაუწყებლობა "მერნეული ტვ".

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.

თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები,


რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:


"25-ე არხი" (ქ. ბათუმი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 24 წუთი, ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაუთმო, 10 წუთით მეორე ადგილზე კოალიცია "ქართული ოცნება", მას მოჰყვება მთავრობა 9 წუთით და 8 წუთით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. გაშუქების 5 წუთი ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე და აჭარის უმაღლეს საბჭოზე მოდის, 4 წუთი ახალ მემარჯვენეებზე.



აჭარის უმაღლესი საბჭო 5 წუთიანი გაშუქებიდან 74% ნეგატიურ ტონში იყო წარმოჩენილი. ყველაზე მაღალი პოზიტიური გაშუქება წილად ხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (38%). ნეიტრალური ტონი სჭარბობდა კოალიცია "ქართული ოცნების" (88%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (95%), ახალი მემარჯვენეების (66%) გაშუქებისას.




სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქების დიაგრამიდან ჩანს, რომ თიქმის ყოველთვის ირიბი გაშუქება სჭარბობს პირდაპირს.




„25-ე არხის“ საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტები პოლიტიკური სუბიექტების ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებენ, რაც მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს ესა თუ ის მოვლენა თავად შეაფასოს. მთლიანობაში ტელეკომპანია ცდილობს მოვლენები მიუკერძოებლად და ობიექტურად გააშუქოს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში, ახალი ამბების გამოშვებებში, სუბიექტების მრავალფეროვნება არ გვაქვს.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - საინფორმაციო გადაცემებში ყველაზე მეტი დრო ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო (15 წთ.), მას 12-12 წუთით მოჰყვებიან მთავრობა, ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე) და პრეზიდენტი. დანარჩენ სუბიექტებზე დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: კოალიცია "ქართული ოცნება" - 7 წთ., ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 6 წთ., ერთიანი ნაციონალურ მოძრაობა და თავისუფალი საქართველო 3-3 წუთი, ახალი მემარჯვენეები 2 წთ.



გაშუქების ყველაზე მაღალი პოზიტიური ტონი ხელისუფლებაზე (79%), ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა (71%) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე (60%) მოდის. სამივე ტონი დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების", ხელისუფლების, მთავრობის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას. მათგან ყველაზე მეტად ნეგატიურ ტონში გაშუქება კოალიცია "ქართულ ოცნებას" (27%) და ხელისუფლებას (19%) ერგოთ.



დათმობილი დროის გათვალისწინებით სიუჟეტებში სჭარბობს სუბიექტების ირიბი გაშუქება. თუმცა დაფიქსირდა პირდაპირი გაშუქების მაღალი პროცენტული მაჩვენებელიც: 69% ხელისუფლება, 74% ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 53% ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.




ტელეკომპანია აქტიურად აშუქებდა როგორც ზოგადად ქვეყანის, ასევე რეგიონულ სიახლეებს. განვლილი ორი კვირის მანძილზე ახალი ამბების ერთ-ერთი უმთავრესი თემა კახეთში მომხდარი სტიქია იყო, სადაც დიდი დრო დაეთმო პრეზიდენტისა და მთავრობის წევრების კახეთში ვიზიტებს. შესაბამისად, სამთავრობო სტრუქტურები დათმობილი დროის ყველაზე დიდი მაჩვენებლით გამოირჩევიან.


ახალი ამბების სიუჟეტების დიდი ნაწილი დაუბალანსებელია და მხოლოდ ერთი მხარის პოზიციას წარმოადგენს. მაგალითად: 26 ივლისის საინფორმაციო გამოშვება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი ხემძღვანელის არჩევის ფაქტით დაიწყო. სიუჟეტიდან ირკვევა, რომ დეპუტატების ნაწილმა გენერალური აუდიტორის პოსტზე ლაშა თორდიას კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე მხარის პოზიციები და მოსაზრებები არ გაშუქებულა.

აღსანიშნავია, რომ „რიონის“ ეთერში ნეგატიური ტონით გაშუქების პროცენტული მაჩვენებელი, ზოგადად, მცირეა. ძირითადად, ახალი ამბები მაყურებელს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ აწვდის ინფორმაციას, სადაც არ გვხვდება შეფასება, კრიტიკა და ფაქტთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციები.


ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი) - ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ ადგილობრივ თვითმმართველობას (5 წთ.), მთავრობას (3წთ.) და ხელისუფლებას (2წთ.). დანარჩენი სუბიექტების გაშუქება ფაქტურად არ ყოფილა, ისინი მხოლოდ ახსენეს.



ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტების მიმართ დაფიქსირდა პოზიტიური ტონის მაღალი მაჩვენებელი - ადგილობრივი თვითმმართველობა 95%, მთავრობა 93% და 100% იანი ნეიტრალური ტონი ხელისუფლების შემთხვევაში.




სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა პირდაპირს:




ტელეკომპანია ძირითადად რეგიონალურ მოვლენებს აშუქებს. აქტიურად შუქდება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა და უმეტესად პოზიტიური კუთხით. მაგალითად, 23 ივლისის გამოშვებაში, როცა საუბარი იყო მოსახლეობის პრობლემაზე აქაც კი არ მოხდა საკითხის უფრო ფართო კუთხით გაშლა და განსხვავებული პოზიციების დაფიქსირება. მონიტორინგის სხვა სუბიექტებს ძალიან მცირე დრო დაეთმოთ. შესაბამისად, კვლევის შედეგების თვისებრივი ანალიზი რთული გასაკეთებელია.


"ოდიში" (ქ. ზუგდიდი) - ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო, 2-2 წუთი ცენტრალური საარჩევნო კომისიის, მთავრობის და კოალიცია "ქართულ ოცნებას" გაშუქებას დაუთმო. დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებზე საუბარი თითქმის არ ყოფილა.



განხილული სუბიექტების მიმართ მხოლოდ პოზიტიურ და ნეგატიურ ტონში იყო საუბარი



სუბიექტების პირდაპირი/ირიბი გაშუქების პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი


ტელეკომპანია მონიტორინგის სუბიექტებს ნაკლებად აშუქებს. განვლილი ორი კვირის მანძილზე ექვსი საინფორმაციო გამოშვება გავიდა, აქედან 24 და 26 ივლისის გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტები არ უხსენებიათ.

მიუხედავად ამისა, ის მცირე დრო რაც მონიტორინგის სუბიექტებს დაეთმო (სულ 10 წთ.), თითქმის თანაბრად გადანაწილდა სამთავრობო სტრუქტურებისა და ოპოზიციური პარტიების გაშუქებაზე.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - სუბიექტებისთვის დათმობილი დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: 11 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობა, 4 წუთი ხელისუფლება (დაკონკრეტების გარეშე), 4 წუთი კოალიცია "ქართული ოცნება", 3-3 წუთი დაეთმო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას და ახალ მემარჯვენებს.



სუბიექტები ძირითადად პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ, მხოლოდ ხელისუფლების მიმართ დაფიქსირდა 20%-იანი გაშუქების ნეგატიური ტონი.



დიაგრამიდან ჩანს, რომ ხელისუფლებაზე, მთავრობაზე და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე ირიბი საუბარი ბევრად სჭარბობდა პირდაპირს. კოალიცია "ქართული ოცნების" (51% / 49%), ადგილობრივი თვითმმართველობის (56% / 44%) და ახალი მემარჯვენეების (47% - 53%) შემთხვევებში დაფიქსირდა თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებელი.




საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების უმთავრეს თემას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება წარმოადგენდა. 19 ივლისის საინფორმაციო გამოშვების პირველ სიუჟეტში ჟურნალისტის ტექსტში ჩანს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობა, როდესაც ჟურნალისტი ამბობს, რომ „ასპინძის მუნიციპალიტეტმა უმოკლეს დროში დათვალო ზარალი და მალე დაიწყება


კომპენსაციების გაცემა“. 26 ივლისის საინფორმაციო გამოშვების მესამე სიუჟეტში ნაჩვენებია, რომ სახელმწიფო სამცხე-ჯავახეთში სამ სოფელს დაეხმარა. აქაც მკაფიოდ ჩანს ჟურნალისტის პოზიცია, როდესაც ის ამბობს, რომ „აღნიშნულ სოფლებში დახმარებები სრული რაოდენობით შეიტანეს“. სიუჟეტებში ჩანს როგორ ურიგებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მოსახლეობას კომპენსაციას, ჩანან მთავრობის წარმომადგენლები. ნაჩვენებია მოქალაქეების კომენტარები იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის ეს დახმარება, როგორ უხდიან მთავრობას მადლობას.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში "მეცხრე არხს" მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტები ნეგატიურ კონტექსტში ფაქტიურად არ გაუშუქებია.


"თრიალეთი" (ქ. გორი) - ახალი ამბების გამოშვებებში სუბიექტებზე დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე მეტი გაშუქება წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას -30 წუთი. მას 9-9 წუთით მოჰყვებიან ხელისუფლება და კოლაიცია "ქართული ოცნება". 7 წუთი დაეთმო მთავრობას, 4 წუთი - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტების გაშუქებისას დაფიქსირდა სამივე ტონი. ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ხელისუფლების მიმართ დაფიქსირდა -80%, მთავრობა 70% და ადგილობრივი თვითმმართველობა 60%. ყველაზე მაღალი ნეიტრალური ტონი კოალიცია "ქართული ოცნების" შემთხვევაში გავქვს - 72%.




ყველა სუბიექტის გაშუქებისას ირიბი საგრძნობლად სჭარბობს პირდაპირს:




ტელეკომპანია რეგიონში მიმდინარე მოვლენების და პრობლემებს აქტიურად მიმოიხილავს. სიუჟეტებში ხშირად ფიქსირდება ჟურნალისტის კომენტარი იმის შესახებ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ზოგადად ხელისუფლების წარმომადგენლები მათ კითხვებზე არ პასუხობენ. საანგარიშო პერიოდის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტების მრავალფეროვნება არ ყოფილა. ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა შუქდებოდა. გაშუქების ტონი უმეტესად ნეგატიური იყო - მოქალაქეები აფიქსირებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას. 20 ივლისის სიუჟეტში, სოფელ ნიქოზის პრობლემების შესახებ ჟურნალისტის ტექსტშიც ჩანდა

ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება: "ხელისუფლების ყურადღებას სოფელ ნიქოზის მოსახლეობა უკვე წლებია იხოვს".


"გურია" (ქ. ოზურგეთი) - ყველაზე მეტი გაშუქება წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას (10 წთ.) მეორე ადგილზეა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა 4 წუთით, მესამეზე - მთავრობა 3 წუთით. ახალ მემარჯვენეებს ტელეკომპანიამ 2 წუთი დაუთმო.



ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში გაშუქების სამივე ტონი გამოვლინდა: 75% პოზიტიური, 21% ნეიტრალური და 4 % ნეგატიური. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაზე დათმობილი დროის 85%-ის შემთხვევაში პოზიტიურად, ხოლო 15 %-ის შემთხვევაში ნეიტრალურად საუბრობდნენ. მთავრობის გაშუქების ტონი სამივე წუთის მანძილზე პოზიტიური იყო.



პირდაპირი/ირიბი საუბრის მაჩვენებელი ყველა გაშუქებულ სუბიექტის შემთხვევაში დაფიქსირდა.




ტელეკომპანია ძირითადად ადგილობრივ ახალ ამბებს აშუქებს. შეიმჩნევა ჟურნალისტის ლოიალური დამოკიდებულება ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. 24 ივლისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, სადაც განხილულია ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში გზის დაგების საკითხი, სიუჟეტის დასასრულს ჟურნალისტი პირდაპირ ასკვნის, რომ „სოფლისთვის ბევრი რამ გაკეთდა“.


ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ტერმინები (მაგალითად: მთელი რიგი დაფინანსებული ღონისძიებები, ხელისუფლებისგან მხარდაჭერა აღქმული გუნდი), ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერას გამოხატავს. მაგალითად, 27 ივლისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ უჭერს

ადგილობრივი ხელისუფლება მხარს გურიის ფრენბურთის გუნდს, ჟურნალისტის ამბობს: „ადგილობრივი ხელისუფლებისგან მხარდაჭერა აღთქმული გუნდი მომავალი წარმატებებისთვისაა მზად“.


"იმერვიზია" (ჭიათურა) - ტელეკომპანიამ ახალი ამბების გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 27 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო. 7-7 წუთი დაეთმოთ კოალიცია "ქართულ ოცნებას" და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, 4-4 წუთი პარლამენტს და ხელისუფლებას (დაკონკრეტების გარეშე). 3-3 წუთი დაეთმოთ პრეზიდენტს და თავისუფალ საქართველოს.



სუბიექტების გაშუქებისას ყველაზე მეტი ნეგატიური ტონი (75%) კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" მოვიდა. პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის, პარლამენტის, ხელისუფლების გაშუქების ტონი მკაფიოდ პოზიტიური იყო. მაღალი პოზიტიური ტონი დაფიქსირდა ასევე ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (94%) და თავისუფალი დემოკრატების (84%) გაშუქებისას.



პირდაპირი საუბრის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობას (73%) და მთავრობას (65%). არაპირდაპირი საუბრის - პრეზიდენტს (100%), კოალიცია "ქართულ ოცნებას" (86%) და პარლამენტს (71%).




ტელეკომპანია ძალიან დიდ დროს უთმობს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის საქმიანობის გაშუქებას. ასევე დიდი დრო ეთმობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ინტერვიუებს. მაშინაც კი, როდესაც აზრი უკვე ნათლად ჩანს და მანამდე ნათქვამ ფრაზას იმეორებენ, ინტერვიუ არ წყდება. 24 ივლისის საინფორმაციო გამოშვების პირველ სიუჟეტში განხილული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის სხდომა, სადაც გამგებელი 4 წუთზე მეტხანს საუბრობდა. ამავე სიუჟეტში დაახლოებით 15

წუთის განმავლობაში აჩვენებდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას.


26 ივლისის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში განხილულია პარლამენტში გამართული დებატები კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის 80 მილიონიანი ჯარიმის შესახებ. ნაჩვენებია უმრავლესობისა და ოპოზიციის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით და მხოლოდ სიუჟეტის ბოლოს, ჟურნალისტის ტექსტშია ნათქვამი, რაზე მიმდინარეობდა დებატები. საკითხში ჩაუხედავ ადამიანს ეს სიუჟეტი დააბნევს, რადგან სიუჟეტის დასაწყისში მხოლოდ ის ჩანს, როგორ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ ხელისუფლების წარმომადგენლები ივანიშვილს და როგორ პასუხობს მათ საპარლამენტო ოპოზიცია. მაშინ როდესაც დებატების ძირითადი მიზეზი (ბიძინა ივანიშვილის ჯარიმის გადახდის მოტივი) მხოლოდ სიუჟეტის ბოლოსაა რამდენიმე სიტყვით გადმოცემული. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჟურნალისტი ცდილობს არ წარმოაჩინოს კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივობები ნათლად.

"არგო" (ქ. ზესტაფონი) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტად მთავრობა შუქდებოდა - 13 წთ, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობას 5 წუთი დაეთმო. ორივე სუბიექტი გაშუქდა პოზიტიურ ტონში (მთავრობა 95%, ადგილობრივი თვითმმართველობა 98%) და პირდაპირი საუბრით (მთავრობა 85%, ადგილობრივი თვითმმართველობა 87%).



ტელეკომპანია „არგო“ მხოლოდ ადგილობრივი ახალი ამბების გაშუქებით შემოიფარგლება. საინფორმაციო გამოშვებები მოკლეა. მონიტორინგის სუბიექტებზე ხშირად სიუჟეტში საერთოდ არაა საუბარი. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ორ სუბიექტზე იყო საუბარი: მთავრობა (13 წთ.) და ადგილობრივი თვითმმართველობა (5 წთ.) 24 ივლისის საინფორმაციო გამოშვების მთელი დრო იმერეთის გუბერნატორთან ინტერვიუს დაეთმო.

"ბორჯომი (ქ. ბორჯომი) - ჩვენთვის საინტერესო სუბიექტების გაშუქება თითქმის რა ყოფილა. გაშუქდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა (7 წთ.) და ხელისუფლებას (3 წთ.).




სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო მონაცემების გაანალიზება ტონისა და პირდაპირი/ირიბი გაშუქების მიხედვით აზრს კარგავს.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ სამი მთავარი საინფორმაციო გამოშვება მოამზადა. თუმცა, პოლიტიკური მოვლენები ნაკლებად გააშუქა. შესაბამისად, ერთ წუთზე მეტი დრო მხოლოდ მონიტორინგის ორ სუბიექტს დაეთმო: ადგილობრივ თვითმმართველობასა და ხელისუფლებას.

საინფორმაციო გამოშვებებში სიუჟეტები ძირითადად სოციალურ საკითხებზე მომზადდა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩაწერილი ინტერვიუებია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა მხოლოდ პოზიტიურ და ნეიტრალურ ტონში შუქდებოდნენ.


მარნეული ტვ (ქ. მარნეული) - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო - 2 წუთი, პრეზიდენტის გაშუქებას დაეთმო. აქედან 95% გაშუქება იყო ნეიტრალური. დანარჩენ სუბიექტებზე საუბარი თითქმის არ ყოფილა.

სუბიექტებისთვის დათმობილი მცირე დროის გამო ძნელია ტონის და პირდაპირი/ირიბი გაშუქების ტენდენციებზე საუბარი.




საანგარიშო პერიოდში გადამცემის დაზიანების გამო მხოლოდ 6 გადაცემა მომზადდა. ძირითადად ზოგადად ქვეყნის პოლიტიკური მოვლენები შუქდებოდა, ასევე კახეთის სტიქიის შესახებ მომზადდა სიუჟეტები. მაგრამ მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტები თითქმის არ გაშუქებულან. ამიტომ ცოტა ძნელია თვისებრივი ანალიზის გაკეთება. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში სიუჟეტი მოულოდნელად წყდება და ჭირს სრულყოფილად აზრის გამოტანა. მაგალითად 17 ივლისის საინფორმაციო გადაცემაში გასულ ინტერვიუზე, როცა ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ხელმძღვანელი საუბრობდა პოლიტიკურად სენსიტიურ თემაზე, წინასაარჩევნო გარემოზე საქართველოში, ინტერვიუ უცებ გაწყდა. ასევე უცებ გაწყდა ინტერვიუ 16 ივლისის სიუჟეტში სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელთან.

"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი) - ყველაზე მეტი დრო დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას (12 წთ.), 6 წუთი მთავრობას და 2 წუთი კოალიცია "ქართულ ოცნებას".




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

94% პოზიტიური ტონი დაფიქსირდა მთავრობის მიმართ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისა (82%) და ხელისუფლების (75%) მიმართ. ყველაზე მეტად ნეგატიურ ტონში კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" იყო საუბარი - 83%.



წარმოდგენილი სუბიექტებიდან მხოლოდ კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქება იყო ირიბი. დანარჩენი 3 სუბიექტის შემთხვევაში მათზე საუბრობდნენ ირიბადაც და თავად სუბიექტებსაც ეძლეოდათ საშუალება საკუთარ თავზე ესაუბრათ.




განვილი ორი კვირის ტელეკომპანიის ახალი ამბების მთავარი თემა კახეთში მომხდარი სტიქია იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი დრო დაეთმო ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებას. ამასთან, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა უმეტესად პოზიტიური ტონით გაშუქდა.

რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

მთავრობის წარმომადგენლებთან ჩაწერილი სინქრონები ხშირად სტანდარტზე გაცილებით ხანგრძლივია; მაგალითად: 20 ივლისის სიუჟეტში საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის, გოგა ხაჩიძის თითქმის 4 წუთიანი კომენტარია წარმოდგენილი.

დაუბალანსებელია 23 ივლისის სიუჟეტიც, რომელიც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის განცხადებასთან დაკავშირებით მომზადდა: გიორგი გოზალიშვილი ბიძინა ივანიშვილს სიცრუეში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი სტიქიით დაზარალებულ კახეთს არ ეხმარება. „ქართული ოცნების“ შეხედულებებისა და მათი პოზიციის გასარკვევად ჟურნალისტი კოალიციის ოფისში მივიდა და როგორც აღნიშნა, გოზალიშვილის განცხადების საპასუხო ინფორმაციაც მოიპოვა, თუმცა სიუჟეტში „ქართული ოცნების“ პოზიცია სულ სხვა საკითხთან მიმართებაშია წარმოდგენილი: საუბარია „ქართული ოცნების“ პრესსამსახურის მუშაობაზე და არა სტიქიით დაზარალებული კახეთის დახმარებაზე.


"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი) - საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა იყო გაშუქებული. მას მთლიანობაში 6 წუთი დაეთმო. სხვა პოლიტიკურ სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა. ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქების ტონი 85 % -ის შემთხვევაში დადებითი იყო, ხოლო 15% -ნეგატიური. მათზე ძირითადად სხვები საუბრობდნენ (62%).



განვლილი ორი კვირის მანძილზე ტელეკომპანია „მე-12 არხზე“ ორი საინფორმაციო გამოშვება მომზადდა, თუმცა მონიტორინგის სუბიექტებიდან დრო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობას დაეთმო. „მე-12 არხი“ არ აშუქებს პოლიტიკურ მოვლენებს,

შესაბამისად, მონიტორინგის შედეგები თვისებრივი ანალიზის გასაკეთებლად საკმარისი არ არის.

"მეგა ტვ" (ქ. ხონი) - გაშუქდა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა - 4 წუთი, 2 წუთი დაეთმო ხელისუფლებას. ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ გაშუქების სამივე ტონი თითქმის თანაბარი იყო: 39% პოზიტიური, 34 % ნეიტრალური, 27% ნეგატიური.



საანგარიშო პერიოდში ორი 15 წუთიანი საინფორმაციო გადაცემა გავიდა ეთერში. მონიტორინგისთვის საინტერესო სუბიექტებზე საუბარი ფაქტიურად არ ყოფილა, მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა გაშუქდა. ამიტომ თვისებრივი ანალიზის გაკეთება შეუძლებელია.

მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:

30 ივლისი-12 აგვისტოს მანძილზე განხორციელდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის მესამე ეტაპი.



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.